<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წევრი ვალდებულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი ან/და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაცია".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*